**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

**„დროების“ ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა | 9 მან. | სამის თვისა | 3 მან. |
| ნახევარ წლისა | 5 მან. | ერთის თვისა | 1 მან. |

# დროება

**გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა**

**ფასი განცხადებისა**

ტიტოლის ასოებით, ასოზე 1 კაპ., ... ასოზე ნახევარი კაპ., ... ზე 8 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.



**ხუთის თვის ხელის-მოწერა.**

პირველი'ს აგვისტოდამ ამ 1882 წლის დამლევამდის

**„დროება“**

ღირს გაგზავნით 4 (ოთხი) მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში — გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბს ქვემოთ.

ქუთაისში — ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Тифлисъ, редакція „Дроэба“.**


## ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთ-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**პეტერბურგი**, 2 აგვისტო. „მოსკოვის გაზეთს“ აეკრძალა ცალკე ნომრების გაყიდვა. ახალს დასჯათა წესდებაში დანაშაულებად შერაცხულ იქმნენ სხვათა შორის შემდეგი მუხლები: უწესურად და საშიშოდ აგება ხიდებისა და გემებისა და გაყვანა გზებისა, აგრეთვე უმართებულოდ შესრულება კონტრაქტისა ხაზინასთან განსაკუთრებით ომიანობის დროს.—კავკასიის სამთო უწყების ინჟინერი ...ტევსკი თვისის თხოვნით დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან.

**ალექსანდრია**, 2 აგვისტო. შაბათს ანგლისელების ჯარის წყობას, რომელიც ანადგურებდა „მექსის“ ნავთსადგურთან ნაშოვნ იარაღებს დაეცა მტერი რომელმაც აიძულა უკან დაეწია დიდის ზარალით. დიდ-ძალი ჯარი ეგვიპტელებისა ემუქრებიან ინგლისელების ჯარს სუეზის არხთან დაცემას.

**პეტერბურგის ბირჟა**, 2 აგვისტ.

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 94—75 |
| მეორესი — — — — | 90—50 |
| მესამესი — — — — | 90—50½ |
| მეოთხესი — — — | 90—12½ |
| მეხუთესი — — — | 90— „ |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 89—50½ |
| აღმოსავლეთის მეორე | 89—50½ |
| აღმოსავლეთის მესამე | 89—75½ |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8—23 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 214—50 |
| მეორე სესხის — — | 212—50½ |

100 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — | 24—03 | პენსი |
| ჰამბურგი — | 206—50 | ცენტი |
| პარიჟი — — | 253—50 | სანტიმი |
| ბერლინი — | „ — „ | პფენიგი |

## სკოლის დისციპლინა

(პედაგოგიური შენიშვნა)

დისციპლინა, წესიერება! ხშირად გვესმის სკოლების ზედამხედველებისაგან. მუდამ უჩივიან ჩვენ სკოლებს დისციპლინის უვარგისობაზედ. ვინ არის დანაშაური მასწავლებელი, თუ თვით სკოლის წესების ხასიათი, ამაზედ დალოცვილები დაფიქრებით თავს არ იწუხებენ.

სკოლის დისციპლინა არის ერთი უმთავრესი საგანთაგანი პედაგოგიისა. რადგანაც ამაზედ არის დამოკიდებული სხვათა შორის სწავლის წარმატება სასწავლებელში, ამისათვის ყველა გამოჩენილ პედაგოგს ჯეროვანი ყურადღება მიუქცევია მაზედ.

ნემცებმა ხომ გადაამეტეს დისციპლინის შესახებ. იმოდენ უკიდურებამდისინც დააფუძნეს დისციპლინა თავიანთ სკოლებში, რომ მოსწავლენი ამ სკოლებში გვგონებათ სამხედრო რაზმები და მასწავლებელი მხედართ მთავარი.

ამ სისტემამ, რომელიც წინა—განძრახვით არის შეტანილი ნემცების სკოლებში, არა მცირედი სარგებლობა მოუტანა ნემცებს პოლიტიკური განძლიერებისათვის.

უკიდურესობა არსად არვარგა, რასაკვირველია, და სკოლის შესახებ ხომ უფრო შეუფერებელია. ყველა დაწესებათა შორის საჭიროა სიბრთხილე, მაგრამ არსად სიბრთხილე არ გვეჭირება ისე, როგორც სკოლის საქმეში. სკოლა ამცირებს უმეცრობას და სილ[ა]ჩეს. სკოლა აძლევს ხასიათს სიმტკიცეს და ზნეობით სიკეთეს. სკოლა ნერგავს კაცში შრომის და მამულის სიყვარულს... ერთი სიტყვით, კარგი რაციანალური სკოლა, დაფუძნებული დროების და მდგომარეობის მოთხოვნილებაზედ, ეკონომიურად და გონებრივად წინ წასწევს საზოგადოებას. ვგონებ, პროგრესსიც ამაში მდგომარეობს.

მოწაფე მხიარული სახით ზის კლასში. თამამად იცქირება აქეთ-იქით. თავისუფლად მოძრაობს საჯდომზედ. უშიშრად წამოდგება, როცა მასწავლებელს პასუხი უნდა მისცეს. უშიშრად კითხვას აძლევს მასწავლებელს და რამოდენჯერმე კითხვასაც გაიმეორებს, თუ მასწავლებელმა ვერ დააკმაყოფილა მისი ცნობის—მოყვარეობა. არ არის დაღრეჯილი, არ კანკალობს შიშით, სკამში არ ზის მუმიასავით გაშეშებული. ცოცხალი და მოძრავია.

აი ეს არ მოსწონთ ზოგიერთს ცრუ პედაგოგებს. ამაში ხედვენ დისციპლინის დარღვევას. შიშს, მოკრძალებას, მომაკვდავის სიჩუმეს თვლიან უპირველეს ღირსებად სკოლისათვის.

ეს ძრიელ კარგად გვესმის რისათვის: ყმაწვილი ამ გვარი დისციპლინით გაწვრთვნილი, ხომ ყურ-მოჭრილი ყმა უნდა გადიქცეს ვისი არ გინდა

. . . . . . . .

ალექსანდრე ბენას აზრით წესიერებისათვის საჭიროა, რომ ყმაწვილი მოწყენილი არ იყოს სწავლის დროს. როდესაც მოსწავლეს გონება და ყურადღება გატაცულია მასწავლებლისაგან, მაშინ დისციპლინა თავი—თავისით დადგენილია. არა თუ ბენა ჰფიქრობს ასე, არამედ საზოგადო აზრიც დისციპლინაზედ ეს არის. იმ სკოლაში არის მხოლოდ წესიერება, სადაც ყმაწვილებს არ ემძიმებათ ჰყოფა და სადაც მათი გონება ვარჯიშობაშია.

უნდა ავიაროთ, რომ ჩვენში, თუმცა სკოლის დისციპლინა არ არის ისე დაცემული, როგორც ზოგიერთნი ფიქრობენ; მაგრამ მაინც არ არის სასურველ მდგომარეობაში. მიზეზი გახლამთ სწავლის უმთავრესი წესი ყმაწვილებისათვის გაუგებარ ენაზედ სწავლა.

ამ მიზეზის გამო ჩვენ სკოლებში მოწაფეთა გრძნობა და გონება უძრავია. ყმაწვილს თვლემა მოსდის, იტანჯება, მოუსვენრად ზის სკამზედ, მოუსვენრობას მოთმინებიდამ გამოჰყავს, ეჩხუბება ამხანაგს, უბღვერის მასწავლებელს, მოუთმენელად მოელის სწავლის გათავებას და გარედ

---

**«დროების» ფელეტონი, 4 აგვისტ.**

### სცენა.

(წყაროზედ წყალს იღებს თითია. მოვა მეორე გლეხის დედაკაცი ელისაბედი).

ელისაბედი. დილა კარგა ყოფნისა, თითიავ!

თითია. ღმერთმა კარგად გამყოფოს, ჩემო ელისაბედ.

ელისაბედ. სხვა, როგორ გიკითხოთ? რძალი როგორი გამოგადგათ?

თითია. კარგი, ღმერთმა კარგი მოგცეს.

ელისაბედ. (იქით) ეს კუდიანი ბებერი როგორ მიმალავს, მითომ არ ვიცი, რა შვილიცა ბრძანდება ამისი რძალი! ჯერ ხუთი ნიჩბის კოჭატა დაუმტვრევია ამ ქოფაკ თავზე და ეს კი ხელს აფარებს. (ჩუმად ქოქოლას მიაყრის). იიი, მეხიკი ჩაგთხლიშე მაგ კრუსუნა თავში! (თითიას) დედაკაცო! აგრე რამ გაგხადა, რომ კატების ნათლიეესა გევხარ?

თითია. იი, გენაცვალე! რატომ არ გიკვირს, რომ პირში სული მიდგია.

ელისაბედ. რატომაო ქა? პირში სული შენს შემაწუხებელს ნუ ედგმება, შენ რატომ, გენაცვალე! ჩემო თითიავ, შენ ჯერ კიდევ ნუგეში ხარ შენი სახლისა, ჰო შვილები არ დამეხოცება. ვაჟი-კაცი სახლისა სწორედ შენ უნდა გერქვას, თორემ შენ შვილსა და რძალსა უშენოდ რა შეუძლიანთ!

თითია. (თავ-გამოდებით). როგორ არა, ზოგი ჩემ უსირცხვილო რძალსაც ჰკითხე, თუ იოტის ოდენად ვლიდე ჩემის ოჯახისთვის, ან ვაკეთებდე რასმეს! სულ იმას გაიძახის, მოკეცილი ბძანდები ჰქლოზზედაო, თუ რამე გაქვს შეექცევი, თუ არა და ბუტბუტებო. შენ გენაცვალე, გაგონილა, რომ ცოცხალმა დედაკაცმა პირი ამოიკეროს და არა სთქვასრა?..

ელისაბედ. (უნდა, რომ წამოაყაჭვინოს ყველაფერი. სიცილით). ში ქა, სად გაგონილა! (იცინის). გენაცვალე ის რა უთქვამს...

თითია. მაშა! ახლა გუშინდელი ამბავი გიამბო: თონეზედ ვსხედვართ და, ის იყო, მჭადები ამოვყარეთ; შემოვიდა ნინიანთ გოგო, პელაგა, მჭადები გვასესხეთო. სულ სამი უნდა იმ პელაგას მჭადი. შვილები არ დამეხოცება, ჩემ რძალს არც კი გაუგია, როგორ ჩავაკარ და როგორ ამოვაკარ, ეცა, ბატონო, ამ მჭადებს და სწორედ გუთნის სამხრამდინ ურია, კარგი მჭადები აარჩიო, რომ მიეცეო. შუქარე, უცქირე და, გულმა რო ველარ მომითმინა, ეს ერთი სიტყვა უთხარი, სწორედ ერთი სიტყვა: რა არის, შე დამწვრის შვილო, რომ სულ დაანაჭუცლე ეგ ძაღლის საჭმელი-მეთქი! სულ გული გამისკდა გამოცხობაზედ, წელი მომწყდა, და შენ კი გაცემაზე ხარ მარდი-მეთქი? ავდექი, ჩემი სიავკაცეც გითხრა, ი პელუა გოგოც გავაგდე და აღარც არაფერი მივეცი.

ელისაბედ. ძალიან კარგი გიქნია, თვალიც მოგითხრია.

თითია. (წაქეზებული). ახლა, ელისაბედ, ღმერთმა შენ ლხინად მოგცეს,

გარბენას, უანგარიშოდ წამოდგება და თხოულობს გარედ გასვლას: ხან წყალი წყურია, ხან რა მოუნდა. ასე გასინჯეთ, ძალად სისხლსაც გამოიდენს ცხვირიდამ, რომ ცოტა ხნით თავი გაინთავისუფლოს ამ დამაღრჩობელ ჰაერისაგან. მასწავლებელი იძულებულია ყვირილით და მუქარით ჩამოაგდოს წესიერება. ამაოა მასწავლებლის ყვირილი და მუქარი, თუ გინდ წკეპელიცა: ორი წამის შემდგომ ისევე მოუსვენრობა და ყიყინი ატყდება...

მანამ დედა-ენაზედ სწავლა არ დაარსდება ჩვენ სკოლებში, (განსაკუთრებით სახალხო სკოლებში და საშუალ სასწავლებელის დაბალ კლასებში) ჩვენ ვერ მოვესწრებით არა თუ ნამდვილ სკოლის ნაყოფს, არამედ ხეირიან სკოლის დისციპლინასაც. ან რა ნაირად გნებავთ ბავშვების გონება და ყურადღება გაიტაცო და წესიერება დაამყარო, თუ მასწავლებელს არ შეუძლია სრულად გააგებინოს თავისი საუბარი და ლაპარაკი მოსწავლე ყმაწვილებისა და მოსწავლეთ არა-რა ესმით თავიანთ მოძღვრისა.

დიახ, დედა-ენა არის საფუძველი წარმატებისა და დამაფუძნებელიც წესიერებისა.

ალ. ჭკოიძაშვილი.

2 მარიამობისთვეს.

ქ. ქუთაისი.

## დღიური

დ. ოჩამჩირედამ (სოხუმის მაზრის) მოგვივიდა აქაურ მღვდელზედ ჩივარი: საქმე იმაშია, რომ ეს მღვდელი რუსია და რა თქმა უნდა, მღვდელსა და მრევლს ერთმანერთის არა გაეგებათ-რა. ხალხი სრულებით აღარ დაიარება ეკკლესიაში და ან რისთვის წავიდეთო, გვწერს ჩვენი კორრესპონდენტი, როდესაც არა გვესმის-რაო. რაც ეს მღვდელი დაინიშნა ჩვენში სახარების სიტყვა არ გაგვიგონია და ზიარებით ხომ, თითქმის არავინა ზიარებულაო. ყველა ამასთან ეს სულიერი მამა თურმე, როგორც სხვებიც, მეტის-მეტი ვერცხლის მოყვარე არისო. ჯვარის წერისათვის ოც-და-ათი მანეთიდამ იწყებს ვაჭრობასაო და, დიდი ხვეწნის შემდეგ, იქნება ორ თუმნამდის ჩამოვიდესო. იშვიათად მოხდება ხოლმე, რომ მიცვალებულს საფლავამდის მიაცილოსო. მოიტანს ერთ მუჭა მიწას აქვე სახლში დააყრის, რაღაცას წაიბუტბუტებს და მემრე დაგვიყვირებს, **хороните!** ჩვენც რა გზა გვაქვს მიგვყავს ჩვენი მიცვალებული და უმღვდლოდ ვასაფლავებთო. თუ რამე მოვახსენეთ ამ მ., მაშინვე ამას გვეტყვის რომ თქვენ ქართულ „დროებაში" ჩამწერეთ ჩვენი მღვდელი არ ვარგაო, მაგრამ მე „ბოლოსმა" გამამართლაო. წადით, სადაც გინდათ ეხლა, იქ მიჩივლეთო.

ჩვენ ძალიან გვიკვირს, რომ ამას, ვისიც რიგია, ყურს არ უგდებენ და ხალხისაგან, ერთი რუსის მღვდლის გამო, ეკკლესიის დავიწყებას ისე გულგრილად უყურებენ.

***

დ. ყვირილიდამ გვწერენ, რომ 11 ივლისს აქაურ სასამართლოს სალაშო გაუმართავთ მეორედ ქართული წარმოდგენა. უთამაშნიათ გ. ალ. თუთაევის კომედია — „ცოლი ვიტირო თუ ფული". საზოგადოდ წარმოდგენა ჩინებულად წავიდაო, მაგრამ უკეთ წავიდოდაო, რომ ყველას თავ-თავისი სათევრები (როლები) რიგიანად სცოდნოდაო. უმეტესი ნაწილი მოთამაშეთა ეს მეორედ არიან სცენაზე და თავიანთის თამაშით დიახ ღირსეულად დაიმსახურეს მაყურებელთა ყურადღებაო.

პიესის შემდეგ გაუმართავთ დივერტისმენტი: ლეკური, ქართული სიმღერები, ლექსების კითხვა და სხვა ამ გვარები.

საზოგადოება კარგა ბლომად დასწრებია და მგონიაო, გვწერს კორრესპონდენტი, შემოსავალი 105-მდის იყოვო. არ იქნება ურიგო, რომ ამ ნაირი წარმოდგენები კვლავაც გაიმართოს ჩვენი ნორმალური სასწავლებლის სასარგებლოდაო.

იგივე კორრესპონდენტი გვაცნობებს, რომ წმ. იოანნე ნათლის-მცემლის ეკკლესიის მღვდელი დავკარგეთო, არ ვიცით სად იმყოფებაო. ხალხი სჩივისო: არც წირვა-ლოცვა და არც პარაკლისები ჩვენთვის არ არისო.

ამ გვალვების გამო გვინდოდა პარაკლისი გარდავვეხადა და მღვდელი კი არსად არისო. როგორც ისმის ეს სულიერი მამა ქეიფს და დროს გატარებას გადაყოლიაო. ხან ზ—ძის ნათლობაში და ხან პ. ჩ—ძის ბალში ატარებს დროსო. ხალხი საყოველთაოდ აცხადებს ვინც მღვდელს მოგვინახავს ორას მანეთს საპოვნელს მიიღებსო...

ჯილდო კარგია, მაგრამ ერთხელვე ქეიფებში და სხვის ქელეხებში გართობილ მღვდელსაც კარგი პოვნა უნდა....

***

ერთ კოჭლ მათხოვარს, რომელიც მთელს ტფილისის ქუჩებზე მაწანწალობდა ორის ჯოხით, გუშინწინ 1 აგვისტოს ძუკიაში მოუკლავს ერთი კაცი, რომლისთვისაც დანა დაუცია მუცელში და გამოუფაშვამს. მიზეზები ბევრი მოჰყავთ, და ჯერ არ ვიცით რომელ ერთს დავაბრალოთ. მკვლელი გლახა უკვე დატუსაღებულია.

***

ტფილისის მახლობლივ სოფელს წყნეთში, სადაც ძველის-ძველადგანვე საქართველოს თავადის შვილები ბებუთაშვილები სცხოვრებენ და რამდენიმე ქართველი სომხები, აუგიათ ამ მოკლეს ხანში ერთი ეკკლესია და უკურთხებიათ კიდეც.

***

სომხ. „მეღუში" „სწერენ, რომ ერთი ქართველი კაცის შენობაზედ მუშაობის დროს ამ დღებში ერთი სომხის მუშა გადმოვარდა, რომელიც იმავე წუთში საავად-მყოფოში წაიყვანეს, მაგრამ, როგორც გვითხრეს, ძნელად მორჩებაო.

***

ამ ჟამად ტფილისში იბეჭდება ერთი სასულიერო წიგნი სახელ-წოდებით „მანანა", რომელსაც ტფილისის სასულიერო კანტორა, თუ ბერები ბეჭდავენო. როგორც ვიცით ჩვენ, ეს წიგნი დაწერილია მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისს და ... იქნება, რომ მისი დამწერის ... ლის სახელიც გამოცხადებულ იქნება წიგნზე.

***

ერთ ჩამოხრჩობილთაგანს დაურჩა ევს დარჩენი: მეუღლე ორი ვაჟიშვილი და ერთი—ქალი.

## წერილი რედაქტორთან.

ბ. ტონო მეგაზეთევ! აჯავ ეს ხე... ნი საქმე გაზეთაჩი რო დაწე... გვეშველება რამე. ჩვენ, ბატონო, ... ფელ არლელები ვართ (ახალ-ცი... უეზდი) და წყალი გაღმა ვერანა მ... შუნეთია. იმ ალაგებჩი ჩვენ ვცხ... და ვთესამთ მამაპაპიდგანვე, რ... არალჩიე ცოტა ალაგია. ახლა, ბატონო, ამ სამ წელიწადს რაც უბედუ... რობას ვეყრებით, შენი მტერი... ალაგებს გვედავება, ბატონო, ... ბეგი ჭაბლიანისა ფეზულა-ბეგი. ... ფი და კუფჩა რო წაიკითხო, ... ჩვენია და არ ვიცით ბეგი რით ... რონება. ჩვენი დავა დღესაც ... ნი სუდჩია, არ გათავებულა.

ახლა, ბატონო, გთხოვთ რო გაიგო, როგორ კადრულობს ამნაირ საქმეებს?! ქალია რა უნდა იყოს?! შარშან, ბატონო, მოტყვილებით იჭირავა სალ... დათები და თავის სოფლის კაცებ... ამოიყვანა, მიუსია და რაც ქერი და პური იყო სულ გათიბეს შემოუსვ... ლელი.

იმ წელიწადს კინამლა ცოლშვილი შიმშილით ამოგვიწყდა, მეორე სოფელელები არ შეგვწეოდნენ.

წოეულ, ბატონო გავთიბეთ და ღმერთმა ჰაფეიჯა ჭირნახული მოგვცა. ახლა იმ დღეს უჩუმარად ... სამი ფილინი (ზვინი) დაგვიწვეს, ვერაფერი გადავარჩინეთ. ნაჩანიკს გამოუცხადეთ, მაგრამ რა იქნება; კი ვიცით შენი ჭირიმე ვინც არიან, მაგრამ რო ვთქვათ, მოწმებს მოგვთხოვენ და ვინ მოუყვანოთ. წუხელისაც ორი დაწვეს და რამდონიმეს მოასწრებით არ მოკიდებოდა. ახლა არ ვიცით რა შავ წყალში ჩავარდეთ: საქ...

---

...ლოდ ერთი კიკნა სისხლი ამომივიდა!..

ელისაბედ. (მითომ სწყინს). აი, მეხი დაეცა მაგათ მეჭორე თავებსა.

თითია. არა, ფინთი კაა ჩემი რძალიც. ისეთი ძუძუ-დამწვრის შვილია, ელისაბედ, რომ ერთ დღეს რომ სულ მუცელში ჩაიყაროს, რაცა აქვს, არ იტყვის, ქა, ხვალ რაღა ვჭამოთო.

ელისაბედ. (თავს უქნავს). ჯანი გავარდეს მაგის შემქნელ-მშობელსა, შენც, ჩემო თითია, პირი სამარისკენ მიგაქვს, როცა გქონდეს, შენც სჭამე და შენ სტუმარსაც აჭამე, ამის მეტი რა წაგვყვება?

თითია. ახლა ეგ ხომ მეც ვიცი, მაგრამ მეორე დღეს რომ ლუკმა არა მქონდეს, სულს და ხორცს საიდამ მოვკითხო?

ელისაბედ. ეჰ, შე უბედურო, უბედურათაც მიდიხარ.

თითია. დიახაც უბედური არ ვიყავ და არც ვიქნებოდი, რომ ეგ ძაღლის ლეკვი სახლში არ შემომეთრია; ყველა ჩემ ხელთ არ იყო? მე შენ გითხრა, შვილი მეტყოდა რასმეს, მთელი ოჯახი რომ გარეთ გამეტანა და სხვისთვის მიმეცა.

ელისაბედ. არას გეტყოდა, რომ შენი თავის უბედური იყავი, შენი დღენი თავისთვის რომ ვერას იმეტებ, სხვას რას მისცემ? შენი სიცოცხლე აგრე წუწუნით გაგიტარებია, ნეტა რისთვის, შე ჭკუის გლახავ? თითონ შენ იძახი, დანახვა არა აქვთო, პირ იქით მლანძლამენო. რა თავს იკლავ, თავში ქვა იხალონ. შენც შეკრიბე შენი მეზობლები და სულ ქეფი სწიე; მაგრამ შენ რომ შენი თავის უბედური ხარ. რძალიც არ არის ზოგში გასამტყუნარი, უფრო შენ გამტყუნებენ: წუკიაო, წუკი! განა მე ვამბობ ამას, ყველანი ასე ამბობენ.

თითია. (გაჯავრებული) იმდენი თითიას ჭირი ეცეთ და თითიას თვალთ ნახული კაცისაც შიგ გულში, რამდენიც.....

ელისაბედ. (გააწყვეტინებს გაკაპასებული.) ენა გაგიხმა შენა! თითიას ჭირიც შენ გეცეს, იმის თვალთ ნახული კაცისაც და ჩემიც. შე უბედურო, ენა წანწკლიანი იყავ შენი დღენი და ღმერთმაც სამაგიერო მოგიწყო, ნათქვამია: კერა მოითხოვსო.

თითია. ეგრე შენა და ღვთის ცეცხლი შენს თავს და შენს გასაგისს, რომ არას გაყრი მუცელში, იმიტომ? შენც კარგადა გაქვს ბევრი რამ! იმოდენა კალოს მსხალს ისე მოლევთ, რომ ძაღლად არავის ახსენებთ ხოლმე. (ლაპარაკს გააჯაერებს) ურატომ არავის აყრი მუცელში, პირი სამარისკენ

მის დღეებია, იმას უყარაულოთ თუ საქმეს ყური უგდოთ, და, რა გვეშველება, არ ვიცით. ერთი ღმერთია ჩვენი პატრონი!

ბრეყლი ზენონი.

მკათათვის 29-ს.

## ჩვენი სასულიერო სასწავლებლები

(დასასრული *)

მოწყობილობა ხსენებულის სასწავლებელის ოთახებისა ისეთია, რომ კაცს არ შეუძლიან ზამთარში სიცივის ხშირს მასპინძლობას გაუძლოს, ან მამა-პაპურს ბუხრებში ცეცხლის ანთებით სითბომ ფეხი მოიკიდოს, რომლითაც ორ გვარი ზარალი ეძლევა ეკკლესიებსაცა და სამღვდელოებასაცა: ერთი ის რომ აქ მოსწავლეთა და მასწავლებელთა სიცივე ჰყინავთ და სძრავთ ზამთარში, და მეორეთ—ამოდენის შეშის ყიდვას ვერ ასდიან და სარგებლობაც ვერა მოაქვს რა. ერთის სიტყვით რაღაც უცნაურს ალა-მაჰმადის ხნის აჩოჩილს ქართაგენის ნაგრევებზედ ბურჯების სურათს წარმოადგენს ეს ხსენებული თ. ს. სასწავლებელი. თითქმის შვიდი წელიწადია მას შემდეგ რაც ამ სასწავლებელის ზედამხედველი ბ. მ—ლი ძრიელ ცდილობს, რომ სამღვდელოებამ იკისროს ამ სასწავლებელის წესიერის შენობის აშენება, და მით დაიხსნან თავიანთი შვილები, მათი მასწავლებლებით ამ ნესტიან, ბნელის და ცივის სახლების სამწუხარო ზედმოქმედებისაგან. ამ კითხვის აღსრულებაში მოსაყვანად ხსენებულმა ზედამხედველმა მ—ლმა მრავალჯერ დაანიშვნინა ექსარხოსსა სამღვდელოთ კრებები, მაგრამ სამღვდელობა ყოველს კრებაზედ გულ-გრილობას უცხადებდა, ზურგს უჩვენებდა და თანაგრძნობის ნაცვლად იძულებას უცხადებდა ბ. მ—ს.

მეორე სამღვდელობა (თელავის ს. სასწავლებლის ოლქის სამღვდელოება შეადგენენ: თელავისა, სიღნაღისა, თიანეთისა, ზაქათლისა და ნაწილი ტფილისის მაზრებისა) ძრიელ გვიან და ზოგი საბლაღოჩინოს სამღვდელოება სრულებითაც არ აძლევენ იმ თავიანთ ჯიბიდგან შეწირულს, სასარგებლოდ მოსამზადებელის კლასების მასწავლებლებისა და მოსწავლეთ საჭირო წიგნების შესაძენად რომელიც თითონვე გადასწყვიტეს სამღვდელოთა კრებაზედ.

გულ-გრილობამ თელავის ს. სასწავლებლის ოლქის სამღვდელოებისამ მიაღწია იქამდისინ, რომ თითქმის ნახევარმა ხსენებულის ოლქის სამღვდელოებისამ, თავიანთ უკანასკნელს ორს კრებებზედ, სრულებით განცალკევება გამოაცხადეს თ. სასწავლებლიდამ, და მისწეროდნენ ტფილისის ს. სასწავლებელსა; რომ ეს მართალია ამაზედ გვარწმუნებს სიღნაღის მაზრის სამღვდელოების რამდენჯერმე ფორმალური თხოვნა ამ საგანზედ ექსარხოსთან, რომელზედაც უარი გამოეცხადა. დასამტკიცებლად ამისა მოვიყვან შემდეგს არა სასიამოვნო მოვლენას, როგორიც არის ის ახალი განკარგულება საქართველოს ექსარხოსისა, გამოწვეული ხსენებულის სასწავლებელის სამართველოს თხოვნით, რომლითაც მიეწერა თელავის, სიღნაღის, თიანეთის მაზრის ხაზინებს, რომ დაუჭირონ ყოველს წელს ის შესატანი სამღვდელოთაგან ფული, სასარგებლოდ მოსამზადებელის კლასების მასწავლებლებისა, შესაძენად მოსწავლეთ საჭირო წიგნებისა, და ამ უკანასკნელ სამღვდელოთ კრებაზედ გადაწყვეტილი ოთხასი თუმანისა შენობის მოსამატებლად.

ნუ თუ მხოლო თელავის ს. სასწავლებლის ოლქის სამღვდელოება არის უსწავლელი და ყველა საქართველოს კუთხის სამღვდელოებისაგან უკან ჩამორჩომილი ამ საუკუნეში, და არ ეყურება ის მრავალ-მნიშვნელოვანი სარგებლობის მოტანა, რომელიც მოსდევს კარგს, ყოვლის მხრით და ყოვლის ფრით შემკულს სასწავლებელსა?

ნუ თუ მხოლოდ თელავის, სიღნაღის და თიანეთის სამღვდელოება არის საქართველოში ისეთი ღარიბ-ღატაკი, რომ არ შეუძლიანთ საშუალება, შემწეობა აღმოუჩინოთ მათ შვილებისათვის დანიშნულს სასწავლებლებსა? ჩვენ დროში შევიწროებულ გლეხებმაც იგრძნეს სკოლების სარგებლობის მოტანა მათის შვილებისათვის, რომლისთვისაც არ ზოგვენ, შეძლებისა-და-გვარად, შემწეობის მიცემას და ხელის მომართვასა, და მაშ კახეთის სამღვდელოებას რა დაემართა რომ აღარ ეყურება და ველარ გრძნობს სკოლების კეთილ-მნიშვნელობასა, უარს ჰყოფს ამ დროში შვილების აღზრდასა. არა, არავინ დაიჯერებს კახეთის სამღვდელოების ამ დროში ესრეთს მდგომიარებაში მყოფობასა: ესრეთის აზრის შედგენა ვისგანმე ცილის-წამება იქნება შეურაცხყოფა იქნება მათი. კახეთის სამღვდელოება დანარჩენს საქართველოს სამღვდელოებასთან შედარებით:—განათლებით, პატიოსნებით, თავის ვალის ცოდნით შეძლებით თუ წინ არ სდგას მაინც-და-მაინც არ ჩამორჩებიან დანარჩენ საქართველოს სამღვდელოებასა. სწავლა-განათლების სურვილი მათის შვილებისა—მათის მამავალი იმედებისა ისე უბრწყინავთ თავში და ულვივით გულში, რომ არაფერს დაზოგვენ ამ საჭირო იარაღის შესაძენად. ამას დაამტკიცებს მთელი კახეთის სამღვდელოება თავის დროზედ, უკეთუ საქართველოს ექსარხოსი და მახლობელი უმაღლესი მთავრობა მიაქცევს ჯეროვანს და მკაცრს ყურადღებასა.

რომ თელავის ს. სასწავლებელის ახლანდელი ცუდის და საგოდებელის მდგომიარების მიზეზნი არ არიან კახეთის მღვდლები, არამედ ამ სასწავლებელის ახლანდელი ზედამხედველი მ—ლი, მისი თანაშემწე და დანარჩენნი მათნი მასწავლებელნი (გარდა ორისა) ამაზედ დაგვარწმუნებენ შემდეგი ნამდვილი ფაქტები, ამოღებული მათის პედაგოგიურის ასპარეზედ მოქმედებიდამ.

1) ახლანდელმა თელავის ს. სასწავლებელის ზედამხედველმა თავისის დანიშვნის დროდამვე (ეს იყო ვგონებ 1875 წლიდამ) ურჩია სამღვდელოებას, რომ თუ შვილების კარგად და წესიერად აღზრდა გინდათო, დააწესეთ თქვენის ფულით თქვენს სასწავლებელში, სადაც თქვენი შვილები სწავლობენო საზოგადო საცხოვრებელი (общежитіе) რომ მე ჩემის მასწავლებლების შემწეობით და ზედამხედველობით წინ წავსწიო მათი მეცადინეობა და სწავლაო. სამღვდელოებამ დიდის სიხარულით მიიღეს ეს რჩევა, მოეწონათ და კიდეც დაიქირავეს სახლები ამ კეთილის საქმისათვის თავიანთის საკუთარის ჯიბით, დაარსეს საზოგადო-საცხოვრებელი ადგილი, მოისყიდეს ყოველივე საჭირო არსებითი ლუკმა და ნივთები, საჭირონი ყმაწვილების საზოგადო ცხოვრებისთვის; მაგრამ საუბედუროდ ამ დაწესებულობის ბედის-და-იღბლის ცუდად წაყვანამ დაუკარგა კახეთის სამღვდელოებასა ყოველივე რწმუნება და ნდობა ბ. ზედამხედველზედ და მის ავან-ჩავანებზედ. საქმე იმაში მდგომიარებს, რომ ბ. მ-ლმა შეკრიბა ამ მღვდლების ფულებით დაარსებულ საზოგადო-საცხოვრებელში მთლად თავისი ნათესავები, ვითომც როგორც კარგნი ნიჭიერნი და მეცადინენი, ხოლო საწყალი და ღარიბი მღვდელ-დიაკვნების შვილები დარჩნენ მშიერ-მწყურვალნი და უსწავლელნი. ამასთანავე სამღვდელოთ ფულებით იწყო სარგებლობა საკუთარის მუცლისათვის ერთმა წევრმა, ნაქებმა ზედამხედველისაგან, და მასთანავე სიძემა მ. ხ—ლმა, რომლის ბოროტ-მოქმედებანიცა ვრცლიად არიან აწერილნი 1877 წ. „დროების“ ნომრებში. როდესაც, აღელვებულ კახეთის სამღვდელოებამ ამისთანა მიდგომილის და უსვინიდისო საქციელით ბ. მ—ლის მხრით და მის სიძის მ. ხ—ლის მეოხებით, მოსთხოვეს პასუხი მან, ზედამხედველმა, ზოგს მხეცი უწოდა, ზოგს სულელი და ზოგს ის რაც არ გამოითქმის ესე საქვეყნოდ;—ეს განათლებული კაცი არის და ამ დროის პედაგოგი, სხვა არავინ გეგონოთ!

*) იხ. „დროება“, № 160.

---

მიგაქვს“! მეხი კი დაგაყარე! დამარიგა კიდეცა და!

ელისაბედ. (გაკაპასებული) ში, მეხიც დაგაყარე და მედგარიც, მაინც ორივე ვაყრია; შე ქოფაკო, შენა! არ გიცნობ, რა შვილიცა ბრძანდები? შენ რძალი კი არა რკინაც ვერ გაგიძლებს, რკინა! შენთან ისკარიოტელიც მართალია! ზედ ანწუხზედ უნდა ჩამოგაგონ, შე კუდიანო! საცა კი შესულა თქვენის ჯიშის და ჯილაგის ხალხი, იმ ოჯახში მუდამ ოლონტრიალი ყოფილა; ვერც რძალთან რიგდებიან და ვერც შვილთან.

თითია. ისე ღმერთმა შენ გიდღეგრძელოს შვილები, რამდენი თითიას გვარი აგრე მოუსვენარი იყოს. აბა, რომელი გინახავს, ბრძანე? შენ ვის ელაპარაკები, შე თათრის მოდგმისავ! შენ არ იყავი, უფრო სხვა იყო, რატომ ჩემი ქალი ჯვარობას არ წაიყვანა და ახალი კაბა არ შეუკერაო, ოთხი სოფელი მარტო გამოიარე, გამოექეცი და შეარცხვინე საწყალი ბიჭი! სხვა რაღა გითხრა.... მე ხომ ეგვები მაინც არ მიქნია! მე იმის ავი ვარ, რომ ოჯახი გარეთ არ გამაქვს და და შენისთანა ოინბაზებს მუცელში არ ვაყრი.

ელისაბედ. იმდენი ცეცხლი ჩაგიგდე მაგ მუცელში და გველ-ბაყაყი მაგ ქოფაკ სულში, რამდენი ელისაბედს მაგის სიხარბე არა ჰქონდეს. შე ღვარძლიანო, მოწამლული ენა რომ გაქვს, ახია შენზედ, რასაც შენი რძალი გიშვრება, მამა ვაცხონე იმისი. ჰეი, აგათრევინა თეძო, თუ არა? მოგდომა კანჭში?

თითია. იმდენი შენ იცოცხლე და ჩემმა რძალმა, რამდენი თითიას ვერავინ მოსდოს!... აი გაგიწყდათ სახელი! პიდეც თქვენისთანა ლირფები აქეზებენ და აყრიან თვალში ნაცარს.

ელისაბედ. იმდენი გაიხარე სულით, რამდენი ელისაბედს თავის დღეში არ წაექეზებინოს და რახან აგრეა, შერცხვენილი ვიყო, ისე არ შეუკეთო, რომ შენი თავი არ მოვაკვლევინო. გგონია ათი თუმანი რომ გაქვს სამარხი, იმას კი არ ვეტყვი, რომ წაგართონ და ხარები იყიდონ.

თითია. (შემკრთალი.) ჭირი მომჭამეთ, რაც გინდა ქენით. ნეტა ვისთვის რა დამიშავებია.

ელისაბედ. არა, შე თვალ-დამდგარო, როგორ არ იცი, რომ შენი მოჭრილი ფრჩხილი იმის თავს მირჩევნია. (თავს უქნევს).

თითია. რა ვქნა, გენაცვალე, ნუ გერჩივნება. ვისთვის რა დამიშავებია მე დედ-მამა ოხრიშვილს. მეტადრე შენზედ ვერას ვიტყვი; სხვები, თორემ შენ, განა არ ვიცი ჩემთვის საკეთე გინდა.

ელისაბედ. ჰო და იცოდე. აბა კარგია, წავიდეთ. მეც სხვის პირით გელაპარაკებოდი.

თითია. წავიდეთ, გენაცვალე, პატარა თხლის არაყიც დავლიოთ ჩვენსა. (მიდიან.).

ნატ. გაბუნია.

2) ინსპექტორი თელ. სას. სასწავლებლისა ბ. ტ—ლოვი გახლავთ სურათი მე 18 საუკუნეს რუსეთის პედაგოგებისა, რომლებსაც არც კი გაეგონათ პედაგოგია სასმელია თუ საჭმელი, და რომელნიც ხელ-მძღვანელობდნენ როზგებით, მამავალ ახალ-თაობის ზნეობით თუ ხასიათით დაცემითა, თვის დედა-ენის და ხალხოსნობის იძულებით ქადაგებითა სახალხოდ. ეს ინსპექტორი გახლავთ თავი-და-თავი მიზეზი კახეთის სამღვდელოების შვილების დამახინჯებისა წარსულს ოცდა ხუთის წლის განმავალობაში, რომელმაც წარსულს წელში შეასრულა ვადა სამსახურისა, და ხელ მეორედ იქმნა ამორჩეული ამ თანამდებობაზედ თვისის სიძის-ზედამხედველისაგან.

3). დანარჩენ თელ. სას. სასწავლებლის მასწავლებლებზედ ვიტყვი მოკლედ და ცხადად: მასწავლებელი ი. ზ—ვი გახლავთ პედაგოგიც და მოურავიც თ. დ. ჯ.... სა ერთსა და იმავე დროს, რომელსაც აქვს ვალად დაკისრებული ხშირად იაროს სოფლებში არყის ქვაბებზედ და თვალი ადევნოს, თუ როგორი და რაოდენი ვედრო არაყი გამოდის ქვაბიდამ რომელ დღეს, და შემდეგ, შუაღამისა არყით შემკული ეს პედაგოგი მობძანდება თელავში და შედის მეორეს დღეს მოუმზადებელი გაკვეთილებზედ. ძმა ამისი ძ., თუმცა აქვს სურვილი და მეცადინეობა ასწავლოს მოწაფეებს, მაგრამ თვალი დაუდგა ბედსა, რომ ეს არის ავად-მყოფი და მით ვერ მოჰყავს აღსრულებაში თვისი სურვილი. მასწავლებელ ს—ზედ არც კი ღირს ლაპარაკი: ეს ის პედაგოგი გახლავთ, რომელმაც წარსულს წელს რუსეთში, თვის ქვეყანაში, მწერლის ადგილიც ვერ იშოვა; ეს ის პედაგოგი გახლავთ, რომელიც რევიზორმა არხივში მისცა შესანახად საუკუნოდ, მაგრამ ზედამხედველს მ. მიაჩნია ჩინებულ მასწავლებლად. მასწავლებელი რუსულის ენისა რ—მე, ის პედაგოგი გახლავთ, რომელიც ეს რვა წელიწადია რაც ასწავლის ყმაწვილებსა და ჯერაც ვერ გამოურკვევია რომელი სახელმძღვანელო, ან რომელი წესი სწავლებისა იხმაროს.

ბერძნული ენის მასწავლებელს ნ—ს ისე ესმის ეს ენა, როგორც მე ჩინეთის ენა; ამ ნ—ს მასწავლებელმა თავის დროზედ—სთქვა მაზედ: „მაგ ერუნდას მე ვიცნობ კარგადო, ჩემი შაგირდი იყოვო ს. სემინარიაშიო, და მიკვირს, რა მასწავლებელი იქნება ახლაო". დანარჩენს ორს მასწავლებლებზედ ც—ზედ და ხ—ზედ ვიტყვი, რომ მხოლოდ ესენი არიან, სხვა მასწავლებლების შედარებით, პატიოსანნი, თვის საქმის მცოდნენი და ერთგულნი მასწავლებლები, მაგრამ ესენიც იდევნებიან ამ სასწავლებლიდამა ზედამხედველის მ—ლის წყალობითა.

თელ. სას. სასწავლებელს ჰყავს ამორჩეული, სამღვდელოების მხრით, სამმართველოს წევრებად ორი მღვდელი, ერთი ამათგანი მ. ლ—ვი, ისე ცდილობს ამ სასწავლებლის ცუდს მდგომარეობის მოსპობას, ისე ეყურება და გაცნობილია ამ სასწავლებლის წყობილებასთანა, როგორც მე იმავ ჩინეთის ენასთანა, ხოლო მეორე წევრი, მ. ხ—ლი, რომელმაც უნდა დაიცოს სამღვდელოს შვილების ინტერესები, რომელმაც უნდა ადევნოს თვალი სამღვდელოთ შემოწირულს ფულსა, რომ ცუდად არ იყოს ნახმარები, გახლავთ ის კაცი, რომელიც მიზეზებისა გამო სხვისა-და-სხვისა სამღვდელოებამ თვის კრებაზედ დაითხოვა წევრობის თანამდებობიდამა 1878 წ. ამის მოქმედებანიც ვრცლად არის აწერილი იმავე, 1877 წლის „დროების" ნომრებში.

დასასრულ ვიტყვი: თუ თელ. სას. სასწავლებლის ზედამხედველი, ან ზოგიერთი ჩვენი საზოგადოების რომელიმე წევრი არ დაიჯერებს ამ ჩემს ნათქვამსა, მე მზად ვარ მედიატორეთ სამართლის წესით განირჩეს ყოველივე ჩემი ნათქვამი, და თუ რამე სიცრუე აღმოჩნდეს სიხარულით გადავიხდი სასჯელსა; წინააღმდეგ, თუ ყოველივე მართალი აღმოჩნდეს—დაისაჯონ ისინი ვისზედაც ვსწერ და მასთანავე განიდევნოს ახლანდელი ზედამხედველი ხსენებულის სასწავლებლისა თვისის ავან-ჩავანებითა, რომლის შემდეგ ყველანი ცხადად დაინახვენ სასიხარულო მოვლენასა, იმ შემწეობას და თანაგრძნობას თელ. სას. სასწავლებლის საიმედო წესებზედ და გზაზედ დაყენებისათვის და აღდგენისათვის, რომელსაც აღმოუჩენს ხსენებული სასწავლებლის ოლქის სამღვდელოება.

თელაველი.


# განცხადებანი

სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი

აცხადებს, რომ ხელ-ახლა იი გამოცდა მოწაფეებისა მოსამზადებელი კლასებისა და მიღება ახლად მოყვანილის ყმაწვილებისა იმავე კლასებში დაიწყობა 4-ს სექტემბერს რადგან 1 2 და 3-ს არის დანიშნული კრება სამღვდელოთა. (3—2)

ნაფიცი ვექილი

სერგეი ვასილის ძე

**ჩემესოვი**

გადავიდა ბარიატინის პროსპექტზე ბატბეგოვის სახლებში. (6—1)

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. **იქვე იყიდება:** ზარ-ქსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—98)

ახალი ქართული

**ქარაბადინი**

ისყიდება **ტფილისში:** შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; **ქუთაისში:** მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

ფასი ყდიანის ერთი მანეთი.

დაიბეჭდა და ისყიდება

**ქეთევან**

**ყარამნის შვილის**

მოთხრობა,

მეთოთხმეტე ნაწილი.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ პირველის ნაწილიდამ ვიდრე უკანასკნელ ნაწილამდის მელიქიშვილის სტამბაში, ბატონ ნიკო კობალაძესთან.

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი

**მოთხრობანი**

წიგნი მეორე.

იყიდება **ტფილისში:** შავერდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ).

**ქუთაისში:** ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

**გორში:** მ. კერესელიძესთან.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**

საერთო მფლობელობაზე

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

დაიბეჭდა, გამოვიდა-და-ისყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში.

იგავ-არაკნი

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუისაგან გალექსილი თ. რ. ერისთავისა.

ისყიდება

თფილისის წიგნის მაღაზიებში ახლად გამოსული რუსულს ენაზე წიგნი.

**Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной грузіи).**

**сост. Д. П. Пурцеладзе.**

ქუთაისში ისყიდება ჭილაძეების მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი

ტაქსის

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დარბაზებით 16 ივლისიდამ 1 აგვისტომდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილისა

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 3½ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4½ |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 9 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | — 1 გირ. | 10 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | — კ. |

გამოვიდა ცალკე წიგნათ

დრამა

**სამშობლო!**

ისყიდება შავერდოვის სააგენტოში.

ფასი 60 კაპ. (20—11)

ბიბლიოგრაფიული განცხადება.

**ბუნების კარი,** ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კომპირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

**კარტა საქართველოსი,** მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურად.


*Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 Августа 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხ